

572
1991

ISSN 0132-5065



1991 წ. თებერვალი № 2

ქვეყნის

სამირანი

ლია კობალაძე

აბა, განი, განი, განი,
 მოცუნცულებს ამირანი
 ბურთა ბიჭი ბურთა ტანით,
 რა მარდი და რა გამტანი!
 აბა, განი, განი, განი,
 მობაჯბაჯებს ამირანი.
 შეჭჳოფინებს ეხო-ეურე;
 შემოსცინის ოდა-ბანი:
 ამ მოცუნცულს რომ უეურებთ,
 არ გეგონოთ მსდაღ-ჯაბანი,
 აბა, განი, განი, განი,
 ვაჟკაცია ამირანი!
 ბიჭი, მართლაც ქების ღირსი,
 ცხრა მთას იქით შურდულს ისვრის,
 დასტურ, გახლავთ საქმე მისი
 ამირანის საკადრისი!
 ნაშრომ-ნარბენს დღისით, შვისით,
 ხის ჩრდილში აქვს საბრძანისი,
 აბა, განი, განი, განი,
 ამირანობს ამირანი!

მხატვარი **ლალი ლომთაძე**





19. 733

უპიკლი

ნიკო ლორთქიფანიძე

მხატვარი ელზარ ჯაფარიძე

მოწაფეები გულისყურით უსმენდნენ ახალგაზრდა მასწავლებელს. ყველაზე უფრო დაუდგრომელი, ვანო საღიაშვილიც, მარცხენა ხელზე თავდაყრდნობილი შესცქეროდა მასწავლებელს და სუფრაზე საჩვენებელი თითით ზოგჯერ თითქოს შენიშვნებს იწერდა; უმრავლესობას ხომ გადასაფრენ ბარტყებივით წაგრძელებოდით თავ-კისერი.

— დაბრძანდით, — უთხრა ზემდგომ შეგირდს და მეორეს მიუბრუნდა:

— აბა განაგრძეთ.

შალვა მიქაუა ადგა და გამოვიდა.

მერთალი სახე და უფერული თვალები არ იამა მასწავლებელს.

ბავშვი თანაც ხმას არ იღებდა.

— ... აი, დაგზაბეთ თათქარიძის გარეგანი

სურათი. მეზობლური, ბატონყმური და ნათესაური განწყობილება თათქარიძისა, ახლა უნდა გადავიდეთ მის სულიერ არსებაზე. თურას წარმოადგენდა იგი, როგორც მოაზროვნე ადამიანი, თუ რა იყო უმთავრესი საგანი მისი აზროვნებისა...

ყმაწვილი სდუმდა.

— რაზე ფიქრობდა უფრო ხშირად ლუარსაბი? — კიდევ მისცა მასწავლებელმა დამხმარე კითხვა.

მოწაფე სდუმდა და უფრო და უფრო ეკარგებოდა ფერი.

— ჭამაზე! — მოისმოდა აქა-იქ შეგირდებში.

— უკაცრავად!.. — თქვა ბავშვმა და თავის ადგილზე წავიდა. ცრემლები ერეოდა.

— არ მოგიხმენიათ ახსნა...





შალვა ადგა და ისევ დაჯდა უხმოთ.

მასწავლებელმა ერთხელ კიდევ განმარტა ახალი გაკვეთილის დებულებანი და კიდევ დარეკეს.

შალვა დაეწია მასწავლებელს, რომელიც კლასის დამრიგებელიც იყო, და სთხოვა, შინ გაეშვა.

- ერთი გაკვეთილია დარჩა...
- მაინც გაშიშვით... გთხოვთ.
- აუთ ხართ?
- არა...
- მაშ როგორ შეიძლება?.. თქვენ აიცრუეთ გული სწავლაზე... დღეს კლასშიაც უყურადღებოდ იყავით...

ბავშვს, ეტყობოდა, სურდა რაღაც ეთქვა და ერიდებოდა.

მასწავლებელმა მიმოიხედა:

- ნუ დამიძალავთ, სთქვით!
- სამი დღეა... თითქმის არაფერი გვიჭა-

მია, — ბავშვს ცრემლი გადმოვარდა.

მასწავლებელმა ჯიბისაკენ გასწია ხელი... შეჩერდა:

„რას ეყოფათ ჩემი თხუთმეტი ათასი, თუნდაც რომ მივსცე. თთხი აღამიანი ოჯახში“... — მოითმინე, არ წახვიდე...“

სამასწავლებლოში ცალ-ცალკე ელაპარაკებოდა მასწავლებლებს... ისმოდა: „ჩვენ რა შეგვიძლია... კარგი ბავშვია... კაცო, ერთი ყურუშიც არ მაქვს“... მაგრამ თითქმის ყველა იღებდა მცირე წვლილს, და მასწავლებელმა ძლიერ დარცხვენილ შალვას გადასცა ქაღალდის მსხვილი შეკვრა.


„გუშინ სადილის შემდეგ მეც არაფერი ჩამსვლია პირში“ — შწარე დიმილით ფიქრობდა მასწავლებელი, — „ვინმე დამპატივებდეს მაინც... კიდევ კარგი, რომ სარჩენი არავინ მყავს... ისევ სტუდენტურათ — ერთ დღეს სადილი, ორ დღეს უჭმელობა...“

ბაბუ

თამაზ ჯაბლოძა

ლამაზ ჭალარაზე სავარცხელს გადაისვამს,
 ჩვეულ გზას გაჰყვება დღეისას, სვალისას.
 ჯოხის კაკუნით და ქანაობით მიდის,
 მიაქვს სიბერე და ტკივილები დიდი.
 შუვა ხეივანში, სკამზე ჩამოჯდება,
 დღესაც, როგორც გუშინ, ვინმე გამოჩნდება.
 ტკბილ საღამოს დანსწრებს გზად გამოვლილ ნაცნობს
 — თითო ჭიქა ღვინო გადავკრათო, კაცო!
 ბებრებს მიაკითხავს ხეხუთით და ხველებით,
 დომინოს ქვეებს აკრეფს ბებრული ხელებით.
 ... მისი ფუძის ვაზზე ორი მწიფს მტკვანი:
 აქეთ ქეთვანი, იქით კი — ლევანი.
 თუმცა ბევრს ცელქობენ, ბევრსაც აწვალებენ,
 ჯოხს გამოსტაცებენ, თამაშს აძალებენ —
 აქეთ ლევანიკოს, იქით კი ქეთინოს
 არც-რა დაუშავდეს და არც-რა ეტკინოს...
 ცისფერ ეკრანის წინ მშვიდად იკალათებს,
 ფიქრით მიაცილებს წუთებს და საათებს.
 მოლეულა რთველი, კალეწილა კალო,
 ბებოს ეტყვის — ჩაი დამისხიო, ქალო!
 ... ჯოხის კაკუნით და ქანაობით მოდის,
 შორს წასულა ერთობ, როდის მოვა, როდის!
 იქ, საბურთალოზე, ეულ ჭერძის ძირას,
 მეუღრო სამარეში საუკუნოდ სძინავს...

მხატვარი **ვაჟა ქარსული**



დროს ნინოს ბებია ეწოს კარს კეტავდა, ლელას ბებია კი ისეთი მაღალი იყო, თუ ძირს არ ჩამოიხედავდა, რა თქმა უნდა, ვერ შეამჩნევდა გოგონების უხმო შეთანხმებას. ლელამ ნინოს თავი დაუქნია და ორივემ თითქმის ერთდროულად წარმოთქვა:

— ვიქნებით რაა, ბები, ცოტა ხანს ეწოში? ბებიებმა ერთმანეთს შეხედეს და იმათაც თითქმის ერთდროულად თქვეს:

— პირველ დაძახებამდე ამოხვალთ.

— დიახ! — უთხრა ლელამ ნინოს ბებიას და ნინომ — ლელას ბებიას.

გოგონებმა ქვიშას მიაშურეს. ქვიშა მშრალი იყო და ოქროსფერი, ნიჩბები ერთი ლურჯი იყო. მეორე — წითელი. ლელამ თავისავით ვარდისფერი ხელთათმანები გაიძრო და იქვე ცისფერ სკამზე ჩამოლო. ნინომაც გვერდით მიუწყო თავისი ზოლიანები. იანვარი იწურებოდა, თოვლი კი არა და არ ჩანდა. გოგონებმა ხელები ღურბინდებივით მოირგეს თვალბეზზე და ახლომდებარე მთები შეათვალაიერეს. არსად თოვლის ნახსი არ იდო. თამაშის ხალისი უცებ დაეკარგათ.

— აღარ მინდა თამაში. — თქვა ლელამ.

— არც მე. — დაეთანხმა ნინო და ორივენი სკამზე დასხდნენ. მერე თავები მიადეს ერთმანეთს და ცას დაუწყეს ყურება. ასე ისხდნენ ისინი ყოველ საღამოს და თოვლს ელოდებოდნენ. ბებიებმა ცოტა ხნის შემდეგ ჩამოხედეს ბავშვებს. ნინოს ბებიამ რომ ჩამოიხედა, მაშინვე ლელას ბებიამაც გააღო ფანჯარა და გადმოიხედა; ცისკენ მაცქერალი ბავშვები რომ დანახეს, თავები გადააქნიეს და ერთმანეთს გაუღიმეს.

— ეე! — თქვა ნინოს ბებიამ და რაფაზე ამომხტარ ცუგოს ხელი გადაუსვა.

— აბა, აბა! — თქვა ლელას ბებიამაც და მანაც გადაუსვა ხელი გვერდზე დასკუპებულ წითურ ფისოს.

— იანვარი ხომ გავიდა და...

— თოვლი ხომ უნდა მოვიდეს!

— კი მოვა, მაგრამ ვერ მოუთმენიათ ბავშვებს, დილაობით რო გადაწვევენ ფარდას და ვერ ნახავენ, ისე მოიწყენენ, გული მოგიკვდება.

ლელა და ნინო უკვე კარგახანი ისხდნენ. ამ დროს მეზობელმა, მეცხრეკლასელმა თემომ გამოიარა. გოგონები ასე გახუსულდნენ რომ ნახა, — უჰო! — შეაშინა. ნინომ და ლელამ ერთი კი შემოხედეს მოწყენით და ისევ დაიწყეს ცისკენ



თოვლი აუსილაგლად ღამით მოვა

თინათინ ჭავჭავაძე

ნინო და ლელა ბალიდან ბებიებმა მოიყვანეს. ნინოზე ნინოს ბებიას ეკიდა ხელი, ლელაზე — ლელას ბებიას. ეწოს კარში ჭერ ლელა და ბებიამისი შევიდნენ, მერე ნინო შეცუპდა და ლელას სახელოზე ჩამოქაჩა. ამ

ყურება. თემოს გაუყვირდა, სხვა დროს ბავშვე-
ბი ათას შეკითხვას მისცემდნენ, ახლა რა მოუ-
ვიდათო.

— რა მოვივიდათ, ენები ჩაყლაპეთ? —
იკითხა თემომ.

— სსს... — თქვეს გოგონებმა და ისევ გა-
ნაგრძეს ლოდინი. ამ დროს ბებიებმაც გადმოს-
ძახეს.

— ლელა! ნინო! ჩქარა ვახშამი და ძილი! —
გოგონებს წასვლა არ უნდოდათ, თემოს ერთი
შეხედეს და ლელას რაღაც აზრი მოუვიდა თავ-
ში.

— ეი! თემო! — გასძახა, მაგრამ თემოს ვი-
თომ არ გაუგონია, ახლა არ იყო, პასუხი რომ არ
აღირსეს? აჩვენებს სეირს ამ მატარაკვეცებს.

— თემო! რა იყო, რა! ხომ იცი თოვლს ვე-
ლოდებით, ნანატრი არ შეგვისრულდა, ჩავი-
ფიქრეთ, დავმუნჯებულყავით, იქნებ თოვლი
მოსულიყო. შენ როგორ ფიქრობ, დღესაც არ
მოვა?!

— თოვლი აუცილებლად ღამით მოვა.

— როგორ? — ეცნენ ნინო და ლელა.

— როგორ და ისე. თქვენ რომ ყოველ საღ-
ამოს ცას შეჰყურებთ, ასე არ შეიძლება, მითუ-
მეტეს, რომ ორივეს თავლისფერი თვალები
გაქვთ.

— რაა? — დააჟიკტეს თავლისფერი თვა-
ლები გოგონებმა.

— ერთიც იცოდეთ, ცას არ უყვარს, როცა
უთვალთვალბენ, სწორედ ამიტომ დღისით არ
ჩამოუშვებს პირველ თოვლს. თავლისფერი
თვალები ძალიან თბილები არიან და პირველ
ფიფქებს ჰაერშივე აღნობენ. ამიტომ მოუსვით
ახლა სახლებში, თუ გინდათ, რომ ამღამით
თოვლი მოვიდეს. — და თემომ ჩუმად თვალი
ჩაუკრა ლელას ძმას, რომელიც მათ წასაყვანად
გამოეგზავნათ ბებიებს.

გოგონები ხან თემოს შეხედავდნენ უნდობ-
ლად, ხან ლელას ძმას. მერე იმანაც რომ თქვა —
მართალია, ჩვენც რომ პატარები ვიყავით, თოვ-
ლი ყოველთვის ღამით მოდიოდაო, — დაიჭე-
რეს.

ახლა ბავშვებს უნდოდათ ეკითხათ თაფ-
ლისფერი თვალების შესახებ, მაგრამ ზემოდან
ბებიები უხმობდნენ:

— ლელა!

— ნინო!

და დამშვიდობებაც ვერ მოასწრეს, ისე შე-
ცუნცულეს გოგონები თავ-თავიანთ სახლებში.
შევიდნენ თუ არა, ორივე ფანჯარას მივარდა,
ნინომ მხრები აიჩეჩა და ცას ახედა. ლელამაც
ეუზოში ველოსიპედით მონავარდე თემოსაკენ
ანიშნა და მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი
საფეთქელზე დაატრიალა. ნინომ გაიცინა, მერე
ორივემ ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნეს ერთმან-
ეთს და ოთახებში გაუჩინარდნენ.

ღამით კი, როცა მთელ ქალაქს ტბილად
ეძინა, თოვლი მართლა მოვიდა.




ჩემი ოცნება

ლია ასათიანი

როცა დიდი გავიზრდები,
ოცნებაა ჩემი —
მინდა გავხდე კაპიტანი
უშველელ გემის.
სანამ გემის ღუზას ავწევ,
კანონია, ვიცი:
უნდა დავდო მეზღვაურის
ერთგულების ფიცი.
გადავცურავ მერე ეველა
ოთხი მხარის ზღვათა,
ვიხეიძე, როცა სადმე
უსწობ მიწას ვნახავ.
სამშობლოში დავბრუნდები
მერე ჩემი გემით
და უამრავ ახალ ამბავს
ეველას მოგიუვებით.

მხატვარი **ლალი ლომთაძე**



ბავჯითი ნათია

ეკატერინე ბაბლიაშვილი

შარა-შარა,
ბილიკ-ბილიკ,
ხეე-ხეე მისტის ნათია,
მის თვალეში სისარულის
ვარსკვლავები ანთია.
გზა-გზა,
ხეთა კენწვროდან
მისმხიან ჩიტები: —
შენს ლოჯინთან ვივალთბებთ,
თუ ბეჯითი იქნები.
გზიდან ცელქმა ნაკადულმა
უჩურჩულა ჰატარას: —
შენნაირი გოგო-ბიჭი
ნეტავ, აქ სულ ატარა.
ხტუნვა-ხტუნვით,
სიცილ-სიცილ
გოგომ განვლო გზა-შარა...
და თავისი წარმატება
სანდში ეველას ახარა.



უცნაური ფეხსაცმელი

ცინო ჯაფარიძე

ერთ პატარა ქალაქში, სადაც ერთი კინო, ერთი თეატრი და ერთი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ცხოვრობს ბიჭი, სახელად გიგითო. იგი თქვენსავით ძალიან ბევრს თამაშობს და ისეთი მეჩხერი კბილები აქვს და ისეთი გადამდები სიცილი იცის, აუცილებლად თქვენც გაგეცინებათ. ჰოდა, ამ პატარა ბიჭს ერთი ფეხსაცმელი აქვს. არა, ერთი კი არა, რამდენიმე წყვილი, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ სუყველა სხვადასხვანაირია და უცნაური. მაგალითად, ჩაიცვამს თუ არა კედებს, იმ წუთში ფეხბურთის თამაში მოუნდება ისე ძალიან, რომ ფეხებს ვეღარ აჩერებს და რასაც კი დანახავს, ყველაფერს, ბურთის მაგივრად, ფეხს ურტყამს. ასე მოსტეხა ფეხი სკამს, მოურყია ფეხები მაგიდას, სკოლაში კი მეგობრებს წვივებზე კორძები ამოუყვანა. — რა ჩემი ბრალიაო, ამბობს და იცინის. მის სიცილზე ყველას ეცინება და ამთელებენ სკამებს, ტრავმირებულ ბიჭებს კი შოკოლადებს აძლევენ და ისინიც ჩუმდებიან.


ერთი ფეხსაცმელი კი, რომელიც წითელია და თეთრი ზოლები აქვს, სულ სიცილის ხასიათზე აუენებს. ჩაიცვამს და ყვება და ყვება სახუმარო ამბებს, ყველას აცინებს და თვითონ ხომ ხითხითებს და კისკისებს. ამ ფეხსაცმელებს სკოლაში არ იცვამს, რადგან გაკვეთილებზე აღარ აჩერებენ და იმის მაგივრად, რომ სკოლიდან გამოგდებულნი ტიროდეს, სულ სიცილ-სიცილით ბრუნდება სახლში.

ყვითელ ფეხსაცმელებს როცა ჩაიცვამს, ისეთ ტყუილებს ამბობს, მონაგონია ბარონი მიუნჰაუზენი. ყვითელი ფეხსაცმელები ეცვა, როცა ბავშვებს უამბო, თუ როგორ დაიჭირა ვეფხვი, როგორ იჭდა მფრინავ თევზზე პატარა ოქროსთმიან გოგონასთან ერთად და რა საოცარი ფერები ნახა იქ.

მწვანე ფეხსაცმელებს როცა იცვამს, მავინ ხეებზე ცოცვის ხასიათზე დგება, და მთელ დღეებს ხან ალვის, ხან ბლის, ხან თუთის, ხან ჭადრის ხეებზე ატარებს, სადაც ყველა ტოტი ცალკე ქალაქი და სახელმწიფოა. ასე მოიარა მან თბილისი, მოსკოვი, ნიუ-იორკი, ლონდონი, პარიზი, ლოს-ანჯელესი...

— ნეტა თუ არსებობს ისეთი ფეხსაცმელი, რომ დამხვას და ტელევიზორისათვის მაყურებინოს, ანდა უფროსების საუბრისათვის ბოლომდე ყური დამაგდებინოსო, — თქვა ერთხელ გიგითომ და დედას სთხოვა, ეყდა მისთვის ახალი ფეხსაცმელი. დედამაც, — ოღონდ ეს ბიჭი დამიბეჭვიანდეს და ფეხსაცმელს როგორ არ ვუყიდიო, — უყიდა შავი პრიალა ფეხსაცმელი. ნახვად ღირდა! როგორ გაიხარა გიგითომ.





მხატვარი თამაზ ხუციშვილი

სულ იცეკვა მის დანახვაზე და სწრაფად ჩაიცვა, მაგრამ აი, საოცრება! ჩაიცვა და ერთი წუთითაც ველარ გაჩერდა სახლში. გამოვიდა გარეთ, მთელი ქალაქი ფეხით მოიარა, მერე კინოში შევიდა, მერე თეატრში, მერე მუზეუმში და მეტიც აღარაფერი იყო იმ ქალაქში სანახავი. დედას სთხოვა, თბილისში წამოყვანეო. დედამაც წაიყვანა, რადგანაც საზაფხულო არადადეგები იყო, და აი, მაშინ გაიხარა ბიჭმა, თუ გაიხარა —

ცირკო, ათასგვარი ფილმიო, თეატრიო, ზოოპარკიო, მუზეუმიო. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება, რატომაც, ზოოპარკმა დატოვა. ვეფხვი მე ტყეში გამივია, დამწყვედული ვეფხვი რაღა ვეფხვიო, — თქვა. ყველაზე მეტად კი ჩიტები შეეცოდნენ, საცოდავად რომ ჰქონდათ შემოსაზღვრული ფრენის არე და შორს წასვლა არ შეეძლოთ სივრცის მოყვარულებს და მოუღურტულეებს.

— მე რომ დიდი გავიზრდები, ყველას განათავისუფლებ, რა საჭიროა ზოოპარკი! — უჩურჩულა ვეფხვს და თან თვლიო ჩაუტყრა. მერე მამასაც გაანდო თავის საიდუმლო. რა საჭიროა ზოოპარკი, პატარა ბავშვებს ტყეში წაიყვან, იქ ვაჩვენებ ნამდვილ ცხოველებს, თორემ შეიძლება ბევრს ეგონოს, რომ ვეფხვი და ლომი, დათვი და მგელი ყველანი ასეთი უწყინარები არიან, და ამით, ვინ იცის, რაიმე ფათერაქს გადაუპარონ. დამწყვედული მხეცი რაღა გარეული ცხოველიაო.

სწავლა როცა განახლდა და გიგიტო სკოლაში წავიდა, ამხანაგებს დიდის ამბით უყუებოდა თავის ფეხსაცმელებზე, რომლებიც სულ სხვადასხვანაირი ხასიათზე აუყენებდა. — თუ გინდათ გაგასჩვენებ. მე შემოდლია ბრძენი ვიყო, შემოდლია — ხუმარა, შემოდლია — მოგზაური, შემოდლია — სპორტსმენი. ეს ჩემს სურვილზეა დამოკიდებულიო.

— გაგვასინჯე, — უთხრეს ბავშვებმა და გიგიტომ საითათოდ ჩააცვა ყველა ბავშვს თავისი ფეხსაცმელები. მაგრამ ვერც ერთი ბიჭი დიღხანს ვერ უძლებდა ვერც ერთ ფეხსაცმელს. მალე ბეზრდებოდათ ფეხბურთიც, მოგზაურობაც, ხეებზე ცოცვაც, თქვენ წარმოიდგინეთ, კინოებში და თეატრებში სიარულიც კი. მათ ერთთავად ერთად ყოფნა ყველაფერს ერჩიათ.

და დარჩა გიგიტო თავის ფეხსაცმელებთან მარტოდმარტო. მეგობრებიც ძალიან უყვარდა, მაგრამ ის უცნაური საშყარო — ყველაზე მეტად. მას ასე იოლად ვეღარ დათმობდა.

მე არ ვიცი, რა გამოვა მისგან, დიდი ბიჭი რომ გაიზრდება. ერთი კი მჭერა, გალიაში გამომწყვედულ ყველა ჩიტს და ყველა ცხოველს გაათავისუფლებს, ტყეში გაუშვებს და ბავშვებს ზოოპარკის ნაცვლად იქ წაიყვანს მათ სანახავად.

ფოტოონალიზა

ცირი პიტიაშვილი

თეთრ თოვლზე მიდის
თეთრი ძელია,
თეთრი ძელია,
კულავგმელია.

კრუსი ქოქოთებს:
— სისხლის მსმელია!

ციუვი ქაქანებს:
სამულეულია!

თავი წრიზინებს:
— საშინელია!

კურდღელი გარბის:
— სასარულია!

მიდის თეთრ თოვლზე
თეთრი ძელია.

თეთრი ლეკვები
თუ მიელიან?

თქვა მონადირემ:
— მშვენიერია

თეთრი თოვლი და
თეთრი ძელია!..

ჩხაკ!

და გადაუღო სურათი.



ჯალაშვილი

პიორგი წყაროელი

ორი დოლით თანაბრით
გვირბაში დგას ჯალაშვილი,
ტვირთი მიაქვს,
ტვირთი მიაქვს
იქით-აქეთ ანაბარი.
დოლი უკრავს სათითოდ:
დიმტიტარო,
დამტიტარო...
იქიდან და აქედანო,
აქედან და იქიდანო
ტვირთი უნდა გავიტანო,
ტვირთი უნდა მივიტანო...
დიმტიტარო,
დამტიტარო,
დამტიტარო,
დიმტიტარო...



მხატვარი ბასო სილაშვილი

ბოჰის სენა

ანიკი მლაპარიშვილი

საქართველოს უხსოვარი დროიდან მრავალი მტერი და მოძალადე ესხმოდა თავს, მაგრამ ჩვენი წინაპრები უბრძოლველად ერთ გოჯ მიწასაც კი არ უთმობდნენ მათ.

რიცხობრივად ჭარბ და მუხანათურად მოპარულ თავდამსხმელს რომ შეტოქებოდნენ, ქართველები ოდიოვანვე სამშობლოს ყოველ კუთხე-კუთხულში ციხესიმაგრეებს, კოშკებს და ზღუდეებს აშენებდნენ. ერთ-ერთი ასეთი თვალსაჩინო ციხესიმაგრეა ქართლის შუაგულში კლდოვან გორაკზე აგებული გორის ციხე.

ზოგს იგი დავით აღმაშენებლის აშენებული ეგონა, ზოგსაც — თამარ მეფისა, მაგრამ არქეოლოგიურმა გათხრებმა დაამტკიცა, რომ გორის ციხე ვაცილებით ადრე, პირველ საუკუნეშია აგებული. მაშინ ის სინამდვილეში ციხე-ქალაქი იყო.

მომხდურმა მტერმა მრავალჯერ დაანგრია გორის ციხე, მაგრამ ჩვენი წინაპრები ყოველთვის ადაღენდნენ მას და იგი სამშობლოს,

მთელი ქართლის დამცველ ბურჯად რჩებოდა. ხომ გავიგონიათ:

„გორო, ქართლის შუაგულო,
მეთაურო ქართლისაო...“


1920 წლის დიდმა მიწისძვრამ ეს უღამაზესი ისტორიული ძეგლი ძლიერ დააზიანა. დღეისათვის რაც შემოგვრჩა, დასავლეთის ფერდზე მდებარე კედელ-კოშკებია, რომელსაც „ცხრაკარას“ უწოდებენ.

ციხის დამცველებს არც ფარული გვირბის გათხრა დაზიანებდა, რომლის შემწეობითაც ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეში მდინარიდან წყალი აჰქონდათ.

შენ აღბათ ბევრჯერ მოგიწევს მანქანით მოგზაურობა აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთში ან პირიქით. მოგზაურობის დროს კი გზად აუცილებლად გორის ციხესაც უნდა ჩაუარო.

დააკვირდი, რა დიდებული რამ არის მისი ნანგრევებიც კი.

მხატვარი ანიკი მლაპარიშვილი





წყარო

იოსებ ომაძე

მხატვარი ვაჟა ქარსული

არაგვის ჭალაში, ბულაჩაურის ქვემოთ, მე და კარლო ქაცვსა ვკრფეთ. დავაგვიანეთ, რასაკვირველია, — ნოემბერია, ბუჩქები გვირანადაა გაკრფილი; რაც დარჩა, ისიც გადამწიფებულია და ყინვით საკმაოდ დამზრალი.

მონარჩენებს მაინც ვკრფეთ უხალისოდ, უფრო კი აქეთ-იქით დავბორიალობთ.

ფშანი — წყალდიდობისას კუთხე-კუნჭულებში მინასილი და ათასგვარი წერილი ტოტებით და ხარახურით ავისილი; ჯაგების ფოთოლგაცვენილ ტოტებში გამოჩენილი კონხად მოწნული ბუდეები; იაღღუნის ჯვრკიდე მწვანე, გაქუცული მომცრო ბუჩქები; ვერხვთა სიყვითლეშეპარული, ნიავით აქანავებულ-აკანკალებული ფოთლები; ჭალის ზევით კი — მოიისფრო-მოწითალოდ ნაზად აღუებული გორაკთა ფერდობები, ჯაგრცხილის, შავმუნის, კუნელის შავად გა-

ფარჩხული, ჩია ტანის ხეები, უფრო ბუჩქები რომ ეთქმით.

ასე მივსვირნობ ნება-ნება, ხანდახან ასკილის მწიფე, კამფეტებით ჩამტკპარ, დარბილებულ ნაყოფს ვწყვეტ და ვაგემოვნებ; მაყვლის მთელ კუნწულებს ბაღის მაკრატლით ვჭრი და პარკში ვყრი (მაყვალი აქ ახლა იწყებს ალაგ-ალაგ დამწიფებას, ასე რატომ აგვიანებს?).

უცებ ლიკლიკი მესმის, გუბურაც შემხვდა; გადამხმარ-გადაყვითლებული ბალახის შემდეგ აშკარად თვალში მეცა ჭაობის ხასხასა მცენარეულობა.

ჭანჭვობში ღია ფერის მშრალი ბილიკი მოჩანს...

წყარო!..

ფლატეა, ორი-სამი მეტრის სიგანის რიყნარი, და მისი ზემო ნაწილიდან საამოდ მოჩხრიალებს წყარო. უკვე შესამჩნევად გა-

მოუწვრევია თითქმის შვეული კედელი და პატარა მღვიმესაივით შეუქმნია. წყაროს თავზე გადმოსობილა ნიადაგის ფენა ჯაგრისის, შინდის, ჩია მუხის ფესვებით და-ჭვრილი; ეს ყავისფერი ფესვები ნიადაგს ქვევითაცაა გამოსვერილი ჰაერში მენხერი წვერებით და ნიაფზე ქანათბს.

თითქოს საგანგებოდ, მოზრდილი წნორი ამოზრდილა — აქორილა ფლატის ძირში, ზედ ღვედაკეცა და ეკალა ამძვრალან, მომძლავრებულან და კარგა ხშირი საბურველით დაუფარავთ ტოტები.

უცებ საიდანღაც მინდვრის თავვი გამოცუნცულდა ფლატის ძირში, სუსტ შრიალად მოსწვდა ჩემს სმენას ნაფხვენების ჩამოშლის ხმა... იყო კი მართლა თავუნა, თუ მომიჩვენა? სწრაფად მოხდა ყველაფერი და ისევ ისე მონოტონურად მონხრიალებს წყარო, ისევე გადმომდგარან ფლატის თავზე გაყვითლებული ან გამხმარ-გაყავისფრებული შინდი და კუნელი, ჯაგრისილა და ჩია მუხა, — ისევ ისე დამბზუის კოლოების ჯარი; სად-

ღაც ჩიტი გალობს, მეორე წრიბინებს წყალობლად, მესამე ჟიკვიკებს უდარდელად, გვიანი შემოდგომის წყნარი და თბილი დღით განხარებული...

ისმის არაგვის ნელი დუდუნი, სამხედრო გზის ზუზუნი, სადღაც ძაღლიც წკავწკავებს, ვილაცყები ისევ ხმამაღლა ლაპარაკობენ, აქამდე აღწევს მათი ხმა, თუმცა სიტყვების გარჩევა შეუძლებელია.

მზე თვალს გვიკრავს — ხან გამოანათებს ღვეა ღრუბლებიდან, გაგვითბობს სხეულს და სულს, ხან დაიმალება; გარემო ჩამუქდება და საგრძნობლად აგრილდება.

შორს საგურამოს ლურჯი ქედი იხმორება.

გვიანი შემოდგომა ფერად-ფერადი კაბით მობრძანებულია.

როგორ გამეხარდა, წყაროვ, შენი ნახვა — მარადიული განახლების, დაუსრეტელი იმედის, მაცოცხლებელი დასაწყისის ნიშან-სიმბოლოვ!

ქურნალი „დილა“

გურამ კობახიძე



სისხამ დილით ფოსტის ეუთში ჩამწვედელი დამხვდა „დილა“, გამოეუშვი, მაგრამ ჩემთვის მის დათობას არვინ ცდილა; ვინაიდან უფროსები

ეველ „დილით“ გამოზრდილა, სადამომდე კითხულობდნენ, მეორე დღეს მერვო „დილა“. ისე იევენენ გართულები, აღარავინ მასადილა, დავრწმუნდი, რომ ჩვენს ოჯახში სჯიროა ორი „დილა“.



მხატვარი ვაჟა ქურნალი

მათი მზერა ამოდითღე

მოძაგალ მოქალაქეს

თინათინ კობახიძე

მამ რად გინდა ეკ გული,
ერისთვის არ გეტყვიან?!
დაცემული იხილო და
იგი არ აღგედგინოს?!
ახლა ასე იცოდე:
ამ თემსზე ეველა წერს,
მამულისთვის იწვოდე,
მას აძლედე ეველაფერს...
აკეთებდე დიდ საქმეს,
ეკლიან გზას კვალადე...
ეველას როლს აღრიცხვადე,
და შენსას კი ძალადე.
სხვის ტყვილი გეტყვიან,
სხვისი ღვინით გეხარა,
შენით ეველა სხივობდეს,
გმობდე ფლიდს და მკვეხარას...
რომ არავის სტყვიოდეს,
და არავინ ჩიოდეს:
მათ მზერა ამოდითღე,
და მოვარედ ჩადითღე!..

მხატვარი **მანანა მორჩილაძე**

საბავშვო ქვეყნი

ფეხბურთი გილიონების საყვარელი თამაში

ნოდარ გუგუშვილი

ფეხბურთი სპორტის მეფეა (ასე უწოდებენ მას მძლეოსნობისაგან განსხვავებით, რომელიც სპორტის დედოფლის სახელით არის ცნობილი), მეფე კი, მოგეხსენებათ, ხალხში დიდი მოწონებითა და პატივისცემით სარგებლობს. ფეხბურთმა კარგა ხანია დაიპყრო მსოფლიო.

ერთხელ ნიგერის დედაქალაქ ლაგოსში ფეხბურთის მიზეზით შეწყდა სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება ორ ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილ ძალას შორის. მაშინ ქვეყანას ბრაზილიის ფეხბურთელთა ერთგული ნაკრები ესტუმრა ლეგენდარული პეღეს მეთაურობით და მეთამრამ მხარეებმა დროებით შეწყვიტეს ბრძოლა, რათა საკუთარი თვალთ ეჩანათ ფეხბურთის მეფის თამაში.

მეორედ ფეხბურთი ქვეყნებს შორის სისხლისღვრის მიზეზი გახდა. ეს იყო 1964 წლის 13 ივლისს, როცა სალვადორმა მეზობელ ჰონდურასს ომი გამოუცხადა იმის გამო, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ჰონდურასელი მაყურებლები უდიდებრად მოეპყრნენ სტუმრად ჩასულ სალვადორელ ფეხბურთელებს. მაგრამ ფეხბურთი უფრო ხშირად სიკეთეს თესავს და ადამიანთა ურთიერთობაში მკვლართობისა და სიმშვიდის ატმოსფეროს ამკვიდრებს.

ფეხბურთის სამშობლო ინგლისია, მაგრამ ამ საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს ზოგ ქვეყანაში არ იზიარებენ. ძველ საბერძნეთში, მაგალითად, ცნობილი ყოფილა ფეხბურთის მსგავსი რამდენიმე თამაში. იქ ბურთს ხან ნაჭრებითა და ძოთი ტყინდენ («პილა»), ხან ფრინველის ფრთებით («პაგანიკა»), ხან

ქვიშით («გარპასტინი»); ხანაც ჰაერით ტუმბავდნენ («ვოლისი»).

ფეხბურთის მონათესავე თამაშს იცნობდნენ აპონიაშიც, ჩინეთშიც, ინდოეთშიც. ფეხბურთი საკმაოდ პოპულარული გაერთობა იყო რომის იმპერიაშიც. ფიქრობენ, რომ სწორედ რომაელმა ლეგონერებმა გადატანეს და დაამკვიდრეს ეს თამაში ჯერ კონტინენტურ ევროპაში, მერე კი ბრიტანეთის კუნძულებზე, საიდანაც უკან დაუბრუნდა ევროპას განახლებული სახით.

ფეხბურთი საქართველოშიც უცხოეთიდან შემოვიდა. გასულ საუკუნეში შავიზღვისპირა ქალაქების (განსაკუთრებით ფოთის) ხშირი სტუმრები იყვნენ საზღვარგარეთის გემები, და მეზღვაურები თავისუფალ დროს თავს ირთობდნენ ფეხბურთის თამაშით. ისინი ხან ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ხან კი ადგილობრივ ახალგაზრდებთან თამაშში ცდიდნენ ძალას. ფეხბურთი კარგად შეეთვისა ქართველი კაცის ბუნებას, და მისი საყვარელი თამაში გახდა.



მხატვარი მანანა შორჩილაძე

საქართველოში ფეხბურთელთა წარმატების ამბავი ფართოდაა ცნობილი როგორც ქვეყნის ფარგლებში, ისე უცხოეთში. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ ჩვენი საუკეთესო გუნდი — თბილისის «დინამო» — ორჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1964 და 1978 წლებში), ორჯერ (1976 და 1979 წლებში) ფლობდა საკავშირო თასს, ჩვიდმეტჯერ გახლდათ ჩემპიონატის პრიზიორი — თასის გათამაშების ფინალისტი. მაგრამ ქართულმა ფეხბურთმა ყველაზე დიდი გამარჯვება 1981 წელს მოიპოვა დიუსელდორფში (გერ), როცა ვეროპის ქვეყნების თასების მფლობელია თასი მოიგო. ეს იყო არა მარტო ერთი

გუნდის, არამედ მთელი ქართული ფეხბურთის სტრატეგიის აღიარება.

1990 წლიდან ქართული ფეხბურთის ისტორიაში ახალი, თვისებრივად განსხვავებული ერა დაიწყო. ერთგულ ნიადაგზე დაფუძნებული ფეხბურთი თავისი თავის პატრონი გახდა, საბოლოოდ უარყო ყოველგვარი კარნახი და ზეგავლენა გარედან. პირველმა ერთგულმა ჩემპიონატმა ცხადყო ქართული ფეხბურთის რეალური ძალა და შესაძლებლობანი. დარწმუნებული ვართ, სულ მალე იგი მსოფლიო ფეხბურთის თანამგებობრბოს დამოუკიდებელი და ღირსეული წევრი გახდება.

პიორბი მატრაპალი

პი და პიპა

19.733



ასე უთხრა კასამ გიას:
 — გელოდები რასანია,
 მამუკასთან, ვიცი, დავობ,
 დღეს მე და შენ ვიჭიდავთ!
 უნასუნა გიამ კასან:
 რაც მოგევა, აგერ ნასავ!
 აბანცალდნენ ალთა-ბალთა,
 ორივე ძირს გაიშლართა!
 ეკითხება ვია კასან:
 — ხომ არავინ დავგინახა?!

პუპოპ

გუშინ მიხომ თოფივით
 დამასალა ტუჟილი,
 მითხრა: —
 ათ კილომეტრზე
 მესმის ბუხის ბუჟილი.
 მოკოფიქრე და უცებ
 არც მე ვუთხარ ნაკლები:
 — გუშინწინ დავამარცხეთ
 მარადონას ნაკრები.



მხატვარი **პასო ხილაველი**

საქართველოს
 ს. ქობულაძე
 ბიბლიოთეკა

არგენტინული ხალხური ზღაპარი

გლუხი, ვეფხვი და მელა

— ერთი ღარიბი გლეხი კალოს ლეწავდა და ხმამაღლა ამხნეებდა ხარებს. ისე იყო მუშაობით გართული, რომ ვერც კი შეამჩნია, როგორ წამოეპარა უკნიდან უზარმაზარი მშიერი ვეფხვი. ხარებმა საშიში მტრის სუნი იკრეს და შიშით აკანკალდნენ. ვეფხვის დანახვაზე არც გლეხს დასდგომია უკეთესი დღე.

— ერთი ხარი მომეცი, უნდა შეეცამო, — უთხრა ვეფხვმა კაცს.

— ვერა, ბატონო ვეფხვო, ვერც ერთს ვერ მოგცემ, ორივე ძალიან მიყვარს, — უპასუხა შეშინებულმა გლეხმა.

— მაშინ ორივე ერთად მომეცი, — შესთავაზა ვეფხვმა.

— არ დამლეპო, ბატონო ვეფხვო, არ შემიჭამო ხარები, — შეევედრა გლეხი.

— მაშ კარგი, შენც ხარებთან ერთად შეგახრამუნებ, — გადაწყვიტა ვეფხვმა.

— მეც რომ შემჭამო და ხარებიც, ბატონო ვეფხვო, ჩემი ოჯახი ხომ ამოწყდა შიმშილით უჩვენოდ, — ამოისლუკუნა გლეხმა.

— ჯანდაბას შენი თავი, მარტო შენ შეგკამ, — თქვა ვეფხვმა და ენა გააწკაპუნა.

ამ საუბარს თურმე მელა უსმენდა. შეეცოდა გლეხი და გადაწყვიტა, დაეხსნა გაჭირვები-

საგან; იქვე, ხშირ ბუჩქნარში დაიძალა, ხმა დაიბოხა და კაცს გასძახა:

— ჰეი, მეგობარო, აქეთ ვეფხვს ხომ არ ჩამოუვლია? ორასი ძალით ვარ მის საძებნელად გამოსული!

ამის გაგონებაზე ვეფხვი შიშით მიწას გაწერტოხო, რაც შეეძლო მოიკუნტა და გლეხს შეეხვეწა: უთხარი, რომ არ გინახივარ, თუ გამცემ, ხარებიანად შეგჭამო.

— არა, ბატონო მონადირე, რა ხანია ამ მხარეში ვეფხვი არ გამოჩენილაო, — გასძახა კაცმა.

— როგორ თუ არ გამოჩენილა, მეგობარო, მამ შენს ფეხებთან რა გღია? — ჰკითხა მელიამ.

— უთხარი, ხორბალია-თქო, — დაიხურჩულა ვეფხვმა.

— ხორბალია, პატივცემულო მონადირე, კალოს ვლენწავ; — უპასუხა გლეხმა.

— თუ მართლა ხორბალია, რატომ ტომარაში არ გიყრია? — კიდევ უფრო დაიბოხა ხმა მელამ.

— ჩამდე ტომარაში ჩქარა, დროს ნუ კარგავ, — ცახცახს უმატა ვეფხვმა.

გლეხმაც არ დაახანა, ვეფხვს ტომარა ჩამოაცვა და დაიძახა:

— უკვე ჩავდე, ბატონო, უკვე ჩავდე, ხომ ხედავთ, როგორ გემორჩილებით.

— ბარემ თავიც მოუკარი, მეგობარო, ხორბალი გართე არ გადმოცვივდეს, — ახალი დავალება მისცა მელამ.

ის იყო კაცმა ტომარას საიმედოდ მოუკრა თავი, რომ ახალი ბრძანება გაისმა:

— რალაც ძალიან გაბერილი და უფორმოა ეგ შენი ტომარა, ერთი ნაჯახის ტარით მიასწორ-მოასწორე!

— ფრთხილად დამარტყი ნაჯახი, არაფერი მატკინო, თორემ მონადირე წავა თუ არა, გაგისწორებები, — დაემუქრა ვეფხვი.

კაცმა ნაჯახი აიღო და ისეთი ძალით დასცხო ტომარას, რომ ვეფხვს სული გააცხებინა.

ასე გადაარჩინა ეშმაკმა მელამ ღარიბი გლეხი.




მხატვარი ბესო ხიდაშელი

ესპანურიდან თარგმნა თეა ვასალაიამ



ქროსვორდი



შპეულად: 1. საქართველოს კუთხე. 2. ძველი ციხესიმაგრე საქართველოში. 3. ქართველი გენერალი. 4. სოფელი კახეთში. 5. საქართველოს უძველესი ქალაქი. 6. დიდი ქართველი ფეხბურთელი. 7. წყლის ყვავილი. 8. ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვების ადგილი (თამარ მეფის დროს). 9. ხილი. 10. სასეირნო და დასასვენებელი ადგილი. 11. აზიის სახელმწიფო. 12. ქართული საგმირო ზღაპრის ერთერთი პერსონაჟი. 13. სასკოლო ინვენტარი. 14. ძველებური დაბალი მაგიდა.

მარაშულად: 15. საშენი მასალა. 16. ქალაქი დასავლეთ საქართველოში. 17. ხილი. 18. ძველი ციხესიმაგრე საქართველოში. 19. ხარის ქედზე დასადგმელი. 20. საქართველოს კუთხე. 21. ჭარის სალაშქრო სვლა. 22. სპორტული სათამაშო. 23. გარეული ცხოველი. 24. ქართული ეკლესია-მონასტერი თურქეთში. 25. რელიგიის წინააღმდეგ მიმართულ მეცნიერულ შეხედულებათა სისტემა. 26. რაიონული ცენტრი გურიისში. 27. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ემიგრანტი.

ჭიქოე

გამოდის 1904 წლიდან.

მთავარი რედაქტორი
რეჰაზ იხანოშვილი

სარედაქციო კოლეგია: მუხრან აბო-ბაძე, მანანა ანთიმე, ლამარა ბაბუა, სოსო მთავაძე, მერი ლაპიძე-შვილი, სოლომონ ღმერთაძე, ლეილა მრამ, ბელა ლოსაძე, გავაზა მრავალშვილი, ჯორჯა ნალიძე, თინათინ ჩალაური (პ/მ. მღვიანო), ბიბო ბნელიძე, ბიბო ბიბინაძე.

სამხატვრო რედაქტორი
გიორგი როინიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ენდი წამბიძე

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის – თბილისი, კოსტავას 14. ტელ: ში. რედაქტორის 92-41-30, 93-98-16; პ/მ. მღვიანის 93-10-32, 93-98-18; საშ. რედაქტორის – 93-98-18; განყოფილებების 93-98-19.

გადაეცა ასაწყოად 5.12.90 წ. ხელმოწერილი დასაბუქდ 25.01.91 წ., ქალაქის ზომა 60x90¹/₈, ფის. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 141.500, შკვეთა № 2594

ყაზხ ნახტი
მუხრან აბოშვილი

«Дида» (Утро)
Главный редактор Реваз Иванишвили (тел. 93-41-30).
Адрес редакции и издательства:
380096, г. Тбилиси ул. Костава, 14.
Объём 2,5 печатных листа, тираж 141.500. заказ № 2594.

664/40

ბატონებო!

ჩვენ ბრიტანელები გახლავართ!

ჩვენი ფირმა „GREAT BRITAIN“ გთავაზობთ სავაჭრო და კომერციულ ურთიერთობებს.

შესაძლებლობა გვაქვს უზრუნველგვოთ როგორც უახლესი უცხოური დანადგარებითა და მოწყობილობებით, ასევე ნებისმიერი მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციით და კონსულტაციებით.

ბიზნესმენებს და საქმიან ხალხს, ვინც დაინტერესებულია დიდ ბრიტანეთთან ერთობლივი საწარმოების შექმნით და კომერციული ურთიერთობებით, გთხოვთ მოგვმართოთ დაუხანებლად შემდეგი მისამართით:

MARSHALLS
268 Old Chestet Road
Liverpool L 42 3TF
GREAT BRITAIN

თბილისში GREAT BRITAIN-ის ფირმის წარმომადგენლები არიან რევაზ თაბუკაშვილის სახელობის საქართველოს უცხოეთთან ურთიერთობების ცენტრი (ბარათაშვილი ქ. №17. ტელ: 98-75-14 (15.16.17) და ჟურნალი «დილა» (მერაბ კოსტავას ქ. №14, ტელ: 93-41-30, 93-10-32).